

დანართი

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის

2018 წლის ----- აგვისტოს N ბრძანებით

თავი I პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა.

მუხლი 1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე (საგნობრივი/მოდულური) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

1. აპლიკანტს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის და პროფესიული ტესტირების ჩაბარების და პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე „პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება.
2. კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების (რომლის ფორმას და ტესტირების შინაარსს განსაზღვრავს დირექტორი ბრძანებით) შედეგების საფუძველზე გამოვლენილი აპლიკანტი, მოიპოვებს სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და მათი წარდგენის ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით.
4. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის 50% მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტი ვალდებულია ტესტირების ჩაბარებამდე გაიაროს კონკურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით და მონაწილეობა მიიღოს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში. აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.
5. კოლეჯის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N 152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ 27-ე მუხლის პირველი და 7-ე პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემისა და ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალურ-ადმონისტრაციულ სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან.(ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არასრულწლოვანი ან ქმედუნარო/შეზღუდულიქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ.
6. კოლეჯი მონაცემებს ჩარიცხული სტუდენტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

1.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები:

- ა)ავადმყოფობა, რომელიც შეუთავსებელია სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობასთან;
- ბ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- გ)სამხედრო სავალდებულო და სარეზერვო სამსახურში გაწვევა;
 - დ)ორსულობა თუ დოკუმენტურად დასტურდება პათოლოგიური მიმდინარეობა;
 - ე)სხვა საპატიო მიზეზები მისგან დამოუკიდებლად.

2.ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას აღნიშნული გარემოებებისათვის საჭირო ვადით.

3.სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, იმ მონაკვეთიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ, სტუდენტს უწყდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეუჩერდება ვაუჩერული დაფინანსება.

5.სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, კოლეჯის დირექტორი, რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ბრძანებას.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;
- ბ)პროფესიული პროგრამების (საგნობრივი,მოდულური) შესაბამისი საფეხურის დასრულება;
- გ)პირადი (მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
- დ)პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში მეცადინეობების (არასაპატიო მიზეზით) ზედიზედ 10 (ათი) სამუშაო (სასწავლო) დღის ოდენობით გაცდენა.
- ე)მოდულური პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
- ვ)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30% მეტის გაცდენა.
- ზ) დისციპლინური გადაცდომა, რომლის შედეგადაც სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა- სტატუსის შეწყვეტა;
- თ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემით უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით;

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა.

1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახალი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტატუსის შეჩერების მიზეზების აღმოფხვრის შემთხვევაში;
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები;
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება დირექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველზე;

თავი II მობილობა, სწავლის პერიოდში კრედიტების აღიარება და პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების მექანიზმები.

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მობილობის წესი, მიღებული კრედიტების აღიარება და საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლების მექანიზმები.

1. მობილობის განხორციელების უფლება აქვს ნებისმიერ პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა და სწავლა ხორციელდება კანონმდებლებით დადგენილი წესით და რომელიც, მობილობის დროისთვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს. მიუხედავად იმისა მობილობის მომენტისათვის შეჩერებული აქვს თუ არ სტუდენტის სტატუსი;
2. მობილობა შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
3. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განცხადება შეიტანოს მობილობის შესახებ კოლეჯში და წარადგინოს ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების) შესახებ;
4. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების და წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ;
5. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 15 დღის განმავლობაში;
6. პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის შემთხვევაში ვაუჩერული დაფინანსების გადატანის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებით. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“;
7. მობილობა საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე;
8. მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებზე;
9. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი;

10. მობილობა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ან/და ერთი და იმავე მიმართულების სხვა და სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების) ფარგლებში;

11. ერთი და იმავე მიმართულების სხვა და სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების) ფარგლებში მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის დაწყებიდან ორის კვირის ვადაში .

12. ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების) ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.

13. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას სტუდენტი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს, რის საფუძველზეც დირექტორის მიერ შეიქმნება კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გავლილი მოდულების /სწავლის შედეგების აღიარების შესახებ;

14. კოლეჯის ადგენს შიდა და გარე მობილობის მსურველი პირის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების შესახებ;

15. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საგნობრივი, მოდულური) ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

17. კოლეჯი უფლებამოსილია გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველი პირის პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის და უნარების შემოწმება მათი იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობა რომელზეც პირი აპირებს სწავლის გაგრძელებას, ხოლო შეუთავსებლობა წარმოადგენს პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველს;

18. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას, სტუდენტთან შეთანხმებით ამავე კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობის წესის შესაბამისად ან სხვა ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანას, რომელთანაც აქვს კოლეჯს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული.

თავი III . პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და კვალიფიკაცია

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

1. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (კრედიტების მისაღებად) მოიცავს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო (საგნობრივი) პროგრამებზე სტუდენტის სასწავლო დატვირთვას-თეორიულ მეცადინეობას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას , დამოუკიდებელ სამუშაოს, სასწავლო და საწარმოო პრატიკას და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო (საგნობრივი) პროგრამებზე პროფესიული სტუდენტისათვის მიღწევების შეფასების წესი.

1. კრედიტების მიღება შესაძლებელია სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევების შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის 1.1. პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

1.1. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა.) [A] ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ.) [B] ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ.) [C] კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ.) [D] დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე.) [E] საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ.) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა.) [FX] ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ.) [F] ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

1.2. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია მიენიჭება 51-100 ქულის მიღების შემთხვევაში.

1.3. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას;

1.4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;

1. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიულ (მოდულურ) პროგრამებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულების) შემთხვევაში, კრედიტების მინიჭება ხორციელდება ყველა სავალდებულო/დარგობრივი, ზოგადი და ასევე არჩევითი (არსებობის შემთხვევაში) მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე შეფასების გზით. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

3. სწავლის შედეგის შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

ა) განმავითარებელი - შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულებით, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

ბ.) განმსაზღვრელი - შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებულ (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდგომი ორი ტიპის შეფასებას:

ბ.ა. სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ.ბ. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

4. პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება.

5. პროფესიულ სტუდენტს, მოდულური პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, (რომელსაც აქვს შესაბამისი წინაპირობა) შესაძლებლობა აქვს დაადასტუროს შესაბამისი მოდული ერთი კვირის განმავლობაში.

6. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულების) შემთხვევაში შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტის ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

7. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უწყისები ინახება კოლეჯის არქივში, ხოლო მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, შემდგომ ნაღვურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად მოდულის ბოლოს.

9. მოდულურ პროგრამებზე, შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულით გათვალისწინებული, მოდიფიცირებული სასწავლო მასალას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით. შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობის დაძლევის გარეშე.

მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაცია.

1. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭება:

ა) პროფესიული სტუდენტს კონკრეტული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ ენიჭება შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაცია და გაცივმა დამადასტურებელი დიპლომი.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. (სავალდებულო/დარგობრივი, ზოგადი და არჩევითი მოდულები).

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო (საგნობრივ) პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტს დასრულების შემდეგ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით კრედიტების საფუძველზე კვალიფიკაციის მინიჭება ხდება დირექტორის ბრძანებით.

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის 50% მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

თავი IV. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 10 პროფესიული სტუდენტის უფლება- მოვალეობები:

1. პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა, შინაგანაწესით და კოლეჯის მარეგულირებელი წესით;

2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;

ბ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცყოფისაგან;

გ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

დ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერება;

ე) კოლეჯის არამართლზომიერება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენი წესით;

3. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) არ დაავიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს;

ბ) დაემორჩილოს შინაგანაწესს და მარეგულირებელი წესით დადგენილ მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

გ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

დ) პატივი სცეს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის თანაშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

4 პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო, ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანების შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს);

5. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;

6. პროფესიული სტუდენტის მიერ შინაგანაწესის და კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ფორმა:

ა) შენიშვნა

ბ) არასრულწლოვან სტუდენტისათვის მშობელთან დაკავშირება და მასთან მოთათბირება;

გ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

თავი V. მტკიცებულებების უტილიზაციის წესი

მუხლი 11. სასწავლო/პრაქტიკის პროცესის მასალების/ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების წესი და შექმნილი პროდუქტის (მტკიცებულების) განკარგვის და ნარჩენების უტილიზაციის წესი.

1.სასწავლო პროცესის მასალების/ნედლეულის შესყიდვა,შენახვა და გამოყენების წესი:

ა)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/ჩარჩო დოკუმენტით შექმნილ პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიხედვით სასწავლო პროგრამისათვის გათვალისწინებული საჭირო მასალების და ნედლეულის შესყიდვას ახორციელებს კოლეჯის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები დირექტორის დავალებით.პროგრამის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის პერიოდში;

ბ)პროფესიული მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესისთვის საჭირო შესყიდული პროდუქტის(მასალა/ნედლეული) გადაცემა ხორციელდება დამატება მატერიალური რესურსების კოორდინატორის მიერ მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე;

2. სასწავლო/პრაქტიკის პროცესში შექმნილი პროდუქტის (მტკიცებულების) შენახვის და განკარგვის წესი:

ა) სასწავლო/პრაქტიკის პროცესში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებას;

ბ)პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი ისე უნდა იყოს შენახული რომ, იძლეოდეს სტუდენტის იდენტიფიცირებას;

გ)სასწავლო/პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის შენახვა ხდება კოლეჯში სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნაწილი ნადგურდება კანონით დადგენილი წესით, ხოლო ნაწილი ინახება კოლეჯის მიზნებისთვის.

3. სასწავლო/პრაქტიკის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი:

1.სასწავლო/პრაქტიკის პროცესის ორგანიზების დროს წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესის დაცვით.

2.ნარჩენების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სახეობების და მათი მახასიათებლების მიხედვით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.კოლეჯში სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სახეობების მიხედვით ნარჩენების შეგროვება და აღდგენა/რეციკლირება(თუ ნარჩენის აღდგენა კანონით დასაშვებია) ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

4.კოლეჯის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ისე უნდა განხორციელდეს,რომ დაცული იქნეს ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო; 2.

5.სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერში(ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო უსაფრთხო ნარჩენების განთავსება შეიძლება მუნიციპალური ნაგავსაყრელისათვის განკუთვნილ სანაგვე კონტეინერებში;

6.ნარჩენების შეგროვებაზე და მისი უტილიზაციის პირობების დაცვაზე კონტროლი ეკისრება კოლეჯს.